# სახალხო გაზეთი

№ 448 ხარასკევი, 11 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 448

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაელი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо ...ти" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## დ. ყვირილაში

„ორიაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე" აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ნოემბრისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოღაშვილი მწუხარებით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, რომ შაბათს, 12 ამ თვეს, გარდახდილ იქნება ქ. გორში წლის წირვა და პანაშვიდი მისი მეუღლის

**ანნა** იოსების ასულის **სოლოღაშვილის**

და უდროოდ გარდაცვალებულის საყვარელ შვილის

**ვასილისა.** (1.926.4)

გორის ღვთის-მშობლის მიძინების საკრებულო ტაძრის მღვდელი სვიმონ იოსების ძე დაშაური აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თორმეტს ამა ნოემბერს, შაბათს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გორის საკრებულო ტაძარში მისი მეუღლის

**ნინო იოსების ასულისა** და დედის

**ქეთევან ნიკოლოზის ასულის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, პანაშვიდი სასაფლაოზე წირვის გათავების შემდეგ (1.925.1)

შაბათს, 12 ნოემბერს, გარდაცვალების ორმოცის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, განსვენებულ

**ივანე** მიხეილის ძის **ივანოვის**

სულის მოსახსენებლად პეტრე-პავლეს ეკლესიაში, დილის 10 საათზე, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა, ცოლი და ძმა. (1.927.1)

### ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 12 ნოემბერს, 1911 წ.

## მეოთხე კონცერტი

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით და ქ-ნნ ნ. ა. პრესინსკაიას და მიხაილოვას და ბბ. ნავთისა და სარან-გუსის მონაწილეობით: აღსრულებულ იქნება: უვერტიურა „ობერონი" ვებერისა. რომანსი ნადირასი ოპ. „მარგალიტის მძებნელნი" ბიზესი. ისპანიური ცეკვა ნელისა. სერენადა დრიგოსი. რუსული და ტრეპაკა რუბინშტეინისა. უვერტიურა „ფინგალის მღვიმე"—მენდელსონისა. „Berceuse" კიუისა. მუსიკალური სუმრობა ***. ეკლესიაში ჩაიკოვსკისა. ვაკხანალია (ბალეტი), ოპ. „სამსონ და დალილა" სენ-სანსისა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კონცერტის შემდეგ ლოტო. ორკესტრშია 30 კაცი.

სტუმრები იხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ. სტუდ 25 კაპ.—გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან კლუბში შესასვლელი ფასის გადუხდელად. ფასები გალერიაში 40—10 კაპეიკამდე. ფასები თეტრში: ლოჟები 3—1 მანეთამდე, პარტერი 1 მ.-დან 20 კაპეიკამდე. ანონსი: პარასკევს, 11 ნოემბერს, იაფი ლოტო. (2—1583—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^{1}/_{2}$—11 ს.

დოვლათაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

მიქელაძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ.,

მზარეულოვი მ. ო.—კანისა და ვენერ ყოველ დღე. 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშთალევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკვოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ.—1089—606

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—172

**ექიმი მედიცინისა წამლობა ქლექისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი. შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—23)

## ვაჟთლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე სენის შეოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გამყრელიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ს. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშთალევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კლინიკური მიღება მოთავსებით

**წამლობა „606"-ით.** (Тиф.—1090—210)

**ექიმი** ა. კ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარება). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (15.899.11)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიძეებისა.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი** ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—22)

**ექიმი** ბ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.). და 5—7 ს. (სასოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—70

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—36)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—53)

დოქტორი მედიცინისა
**ი. ე. თიკანაძე**
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—40)

**ექიმი** ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი ჯაპარიძისა. ...)

**ექიმი** ე. ზ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთ 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 0—32)

## ტფილისი, 11 ნოემბერი

**რუსეთისა და სპარსეთის უთანხმოება.**

დაუსრულებელ ზღაპრად გადაიქცა რუსეთისა და სპარსეთის უთანხმოება. როგორც ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობიდან დაინახავს მკითხველი, მშვიდობიანობის დამყარებას სპარსეთში ორი გარემოება უწყობს ხელს: შინაური მოუწესრიგებლობა და რუსეთ-ინგლისის მოქმედება. მაჰომედ-ალის გაძევების შემდეგ სპარსეთი შინაურ წეს-წყობილების მოწესრიგებას შეუდგა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთის ხელის მოქნევით შეუძლებელია გასწორება საქმისა, რომელიც საუკუნოებით ფუჭდებოდა. ფინანსიური სისტემა აწეწილია, არ არსებობს მტკიცე საფუძველზე დამყარებული ადმინისტრაცია. ყველა ამ საქმეების მოსაწესრიგებლად საჭირო იყო ხანგრძლივი დადებითი მშვიდობიანი მუშაობა, მაგრამ სპარსეთს სწორედ ეს მშვიდობიანობა ჰქონდა ძვირად. მაჰომედ-ალის ავანტიურამ ახალს ბრძოლაში ჩაითრია სპარსეთი და მშვიდობიანი მუშაობაც შეუძლებელი გახადა. თქმა არ უნდა, მაჰომედ-ალი მარტო თავის იმედით ვერ დასტოვებდა ოდესას და სახიფათო გზას ვერ დაადგებოდა. რა როლი ითამაშეს ევროპის სახელმწიფოებმა მაჰომედ-ალის ავანტიურაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ვიღაცის ძლიერი ხელი რომ ატყვია მთელ ავანტიურას, ეს ცხადზე უცხადესია. ყველა ის, რაც ავანტიურის შემდეგ მოხდა, მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ამას.

მიუხედავად დიდი განსაცდელისა, სპარსეთმა სძლია მაჰომედ ალი, რომ ლის სახელდახელოდ შედგენილი ბრბო რამდენჯერმე სასტიკად დამარცხა. მაგრამ სპარსეთში დარჩა ძმა მაჰომედ-ალისა, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძნობდა ურჩობასა. სპარსეთის მახლობელი მიზანი იყო ამ ურჩი პრინცის ალაგმვა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად თავი იჩინა ახალმა ფაქტორმა—რუსეთის უთანხმოებამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჯარის გაგზავნა სპარსეთში.

მახლობელ მიზეზად შოა-სალტანეს ქონებათა კონფისკაცია უნდა ჩაითვალოს. სპარსეთის მთავრობამ შოა-სალტანეს ქონება სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. ამ უკანასკნელს გამოექომაგა რუსეთის მთავრობა იმ საბუთით, რომ შოა სალტანეს ქონება რუსეთის ბანკშია დაგირავებული. სპარსეთის მთავრობამ აცნობა რუსეთს, რომ ინტერესები ბანკისა დაცული იქნებაო, მაგრამ ამ მტკიცებამ არავითარი შთაბეჭდილება არ იქონია. რუსეთმა ბოდიშის მოხდა მოითხოვა და, რადგანაც სპარსეთმა ბოდიშის მოხდა დიაგვიანა, გამოაცხადა, ეხლა ბოდიშის მოხდაც აღარ დამაკმაყოფილებსო. ფინალი: რუსეთმა ყაზვინში ჯარი გაგზავნა და, უეჭველია, სპარსეთს კომპენსაციას მოსთხოვს.

თავის-თავად ამ ფაქტში თითქოს არაფერი არაჩვეულებრივი არ არის. მაგრამ, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ რუსის ნაციონალისტები მორგან შუსტერის დათხოვნას თხოულობენ, სრულიად სხვანაირი სურათი გადაიშლება. ამერიკელი მორგან შუსტერი მოწვეულია სპარსეთში საფინანსო საქმეების მოსაწესრიგებლად. ისიც შეუდგა მუშაობას, მაგრამ მუშაობის დროს დაინახა, რომ სპარსეთის განახლების საქმეს დიდს წინააღმდეგობას უწევენ რუსეთი და ინგლისი, რომელთაც განაწილებული აქვთ სპარსეთზე გავლენის სფერა. თავისი მოსაზრებანი შუსტერმა დაჰბეჭდა ლონდონის გაზეთში და აღნიშნა, რომ სპარსეთის განახლების საქმეს ხელოვნურად შეუძლებელ ვითარებაში აყენებენო.

ამიტომაა, რომ „ნოვოე ვრემია" და მასთან ერთად სხვა რუსის ნაციონალისტებიც შუსტერის დათხოვნას მოითხოვენ. ფეხის ხმას აყვა მსხვილ მრეწველთა ორგანო „უტრო როსიი"-ც, რომელსაც ძალიან უკვირს, რომ შუსტერი სპარსეთის სასარგებლოდ მუშაობს, და არა ინგლის-რუსეთისა, თითქოს იგი მართლაც ვალდებული იყოს დაიცვას ინტერესები არა იმ სახელმწიფოსა, რომელმაც სამუშაოდ მოიწვია, არამედ სხვებისა.

შოუ-სალტანეს ქონებათა კონფისკაცია მხოლოდ საბაბია უთანხმოებისა. მიზეზი კი უფრო ღრმაა. რუსეთის ის დიპლომატები, რომელნიც დიდი ხანია აგრესიულ გუნებაზე არიან, მოითხოვენ აქტიურ პოლიტიკას სპარსეთში. ლაღადი სპარსეთის გაყოფის შესახებ პრესის ერთს ნაწილში ამ პოლიტიკის გამონაკლია. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ უკანასკნელი ულტიმატუმი რუსეთისა დასაწყისია ფრიად დიდმნიშვნელოვან ამბებისა, რომელთა მოწმენიც გავხდებით.

## სახელმწიფო სათათბირო

დ უ მ ა შ ი
10 ნოემბერი.

თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს. მსჯელობა აქვთ მოუსავლობით დაზარალებულთა დახმარების გამო კოკოვცევის განმარტების თაობაზე.

ვიშნევსკი 1911 წლის მოუსავლობას 1906 წლისას ადარებს და აღნიშნავს, რომ დახმარებისთვის უფრო მეტი უნდა გადაიდოსო. მთავრობა იდეალს მაშინ მიაღწევს, როდესაც ფულით დახმარების გაცემა აღარ დასჭირდება. ამისათვის კი წვრილი კრედიტია საჭირო სესხის გამცემ საზოგადოებათა გასამრავლებლად. მოლაპარაკე მთავრობის მოქმედებას ემადლიერება.

კუტლერის აზრით, მთავრობას ნამდვილი ცნობები არა აქვს მოუსავლობაზე. დახმარების საქმეში პირველობას მთავრობა ეწევა, ერობა კი დაჩრდილულიაო.

გრიზნეკი. ორენბურგის გუბერნიაც გვიმტკიცებს, თუ რა ცუდად არის მოწყობილი საზოგადო სამუშაოებიო (ტაში მარცხნივ).

იანუშკევიჩი. უფრო ენერგიულ ზომების მიღებას თხოულობს.

ჩილიშევი. მოუსავლიან გუბერნიებში არყის დუქნების დაკეტვას მოითხოვს.

მარკოვი მე-2-ს მოუსავლობის მიზეზად რუს ხალხის მეურნეობის განუვითარებლობა მიაჩნია. ამის გარდა, გლეხობა იძულებულია წლის 3 მეოთხედს არაფერი აკეთოს. მთავრობა კარგს სჩადის, როცა სამუშაოებს პირველ ნოემბრიდან მაისამდე აწარმოებს. (ტაში მარჯვნივ).

კრილოვი დაკმაყოფილებულია მთავრობის განმარტებით და თხოულობს, ქალაქის მცხოვრებთაც მიაქციეთ ყურადღება, პური ძალიან დაძვირდაო.

ნიკიცკი. მთავრობის განმარტებამ მემარჯვენენი სრულიად დააკმაყოფილაო.

სირტლანოვი. სწრაფ დახმარებას თხოულობს უფის გუბერნიისთვის. ამ საქმეს კარგად მხოლოდ ერობა გაუძღვებაო.

ძიუბინსკი. შიმშილის მიზეზად სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გადიდებას ასახელებს. იგი ციმბირის მკვიდრთა უნუგეშო მდგომარეობას საბუთებით ამტკიცებს.

გოლკოვი მე-2 ბაიკალის გაღმა მხრის მოუსავლობას ეხება. სანოვაგე არსაიდან მოდისო. მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა იზრუნოს ამ ოლქისათვის, რადგანაც იქ ერობა არ არისო.

საველიევი. შიმშილთან საბრძოლველ ახალ კანონების გამოცემას მოითხოვს.

გადასწყვიტეს მსჯელობა საღამოს სხდომაზე განაგრძონ. კითხულობენ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართულ შეკითხვას. იგი ორიოლის გუბერნატორის ანდრეევსკის ეხება. მან თურმე სევის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბოდლინევი აიძულა ფიქტიურად მიეყიდა გაიდუკოვისა და ვეტლიცისთვის იმდენი მიწა, რომელიც სათათბიროში ასარჩევ ცენზად გამოადგებოდა და ეს საქმე გუბერნატორმა თავის ხელქვეით პეტროვის შემწეობით მოახერხაო. მეორე შეკითხვა მიმართულია ფინანსთა მინისტრისადმი. იგი ორიოლის საგლეხო ბანკს უსაყვედურებს, სახაზინო ინტერესი დაარღვია პეტროვისთვის მიწის მიყიდვითაო.

გერასიმოვი სწრაფად განხილვის საპიროების იცავს. თუ სათათბირომ ამაზე უარი სთქვა, დაამტკიცებს, რომ საქმეო ყურადღებით არ ეპყრობა მცხოვრებთა საარჩევნო უფლებასო (ტაში მარცხნივ).

კურაკინი. შეკითხვა კომისიას გადაეცეთ.

ფედოროვი მიჩვეულია სწრაფად განხილვის მომხრეა.—შეიძლება სხვაგანაც მოხდეს მაგისთანა ძალმომრეობაო.

გრუშენსკი. თუ შეკითხვის საგანი მართალია, მას ფასი ედება. მაგრამ საჩქაროდ განხილვა კი საჭირო არ არის, კომისიას გადაეცეთ. სათა-

თბიროსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა ბოროტგანზრახვათა გამოკვლევას, რადგან მაშინ ადგილი აღარ ექნება ისეთ ფაქტს, როგორც მილიუკოვის არჩევაა, რომელიც ნოქრობის მოწმობით აირჩიეს.

სწაფ-განხილვის საჭიროება უარჰყვეს 137 ხმით 134 წინააღმდეგ.

**ჯერ როძიანკო** თავმჯდომარეობს, შემდეგ კაპუსტინი.

მინისტრთა განმარტების განხილვას განაგრძობენ.

**გრაფი ტოლსტოი** ეხოულობს საქმე ერობას გადაეცესო (ტაში მარჯვნივ).

**რთცკოვი.** მთავრობას სიმშილის თაობაზე ცნობები ნაკლებადა აქვს და არც ნამდვილიო.

**შეშეტოვი** მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულას კითხულობს, რომლითაც მთავრობას და ხაზინას სიფხიზლე და მოუსავლიანობის საქმის არსებითად გაცნობა ევალება (ტაში მარჯვნივ).

**ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ნოვიცკი.** ჩხეიძის წინადადების ასრულება, რომელიც არყის დუქნების დაკეტვას გვირჩევს, შეუძლებელია. ეს ძალმომრეობა იქნება და მთავრობა ამას ვერ აასრულებს, თუმცა განკარგულება კი მოახდინა ფულის დარიგების დროს, რათა ყველა სასმელების დუქნები დაკეტილი იყოსო.

**კედეშოვსკის** ძალიან მოსწონს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აზრი, საჩუქრად ფულის დარიგება უნდა მოვსპოთო. სიმშილის საკითხი საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გადასწყდება, როდესაც მიწა უძლურთა ხელიდან დონიერთა ხელში გადავა და (როდესაც განსვენებულ სტოლიპინის მიერ შემუშავებულ რეფორმას განახორციელებენ.

**კარაკანი.** მთავრობას დავავალოთ განსაკუთრებული მმართველობა დააწესოს, რომელიც მხოლოდ მოუსავლობის საქმეზე იზრუნებს.

**ბელოუსოვი.** მთავრობამ ბევრი რამ დამალა. ნამდვილად კი საქმე უფრო ცუდად არის და მთავრობა მზრუნველობას არ იჩენს. საქმეს მხოლოდ ეხლანდელი საეკონომიო ურთიერთობის დარღვევა მოაგვარებს. მაგრამ ამის მოხდენა შეუძლიან მხოლოდ ხალხის საარჩევნო ხმის მიცემით ამორჩეულ წარმომადგენლობას და მთავრობაც პასუხისმგებელი იქნება.

**მოტოვილოვი** მთავრობის მოქმედების მადლიერია.

დაგვიანებისა გამო მსჯელობა შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

**ჩხეიძე** მინისტრს უპასუხებს: ჩემი წინადადება 86 დეპუტატისაგან იყო ხელმოწერილი და მეტის პატივისცემით უნდა მოპყრობოდითო. პროტესტს ვაცხადებ მინისტრის შემდეგ სიტყვების გამო: „მთავრობის დამამცირებლად მიმაჩნია ჩხეიძის სიტყვაზე პასუხის გაცემაო".

**შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე დიჯაშინი.** საჭიროდ მიმაჩნია სიმართლის აღდგენა და მე ვლაპარაკობ, რადგანაც ნოვიცკი აქ არ გახლავთ. მას ის არ უთქვამს, რაც ჩხეიძემ მიაწერა (მარცხნივ ხმაურობა და ძახილია: „სთქვა, სთქვა!") ჩხეიძე კითხულობს ფინანსთა მინისტრის სიტყვის სტენოგრამმას.

შემდეგი სხდომა 11 ნოემბერს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** განაგრძობენ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას სარწმუნოების გამოცვლის თაობაზე.

**დეკანოზი ბუტკევიჩი** არქიეპისკოპოს ნიკოლოზსა და არსენს ემხრობა, რომელთაც კანონის გამოცემა ნადრევად მიიჩნიეს.

**[illegible]** მომხრეა კანონ-პროექტისა; სარწმუნოება ძალადობას ვერ მოითმენს და მართლმადიდებელთა ეკლესია დაცვას არა ჰსაჭიროებს. უშაკოვის წინაალმდეგია.

**შინაგან საქმეთა მინისტრი** კანონ-პროექტს დიდ მნიშვნელოვნად სთვლის. ვინც სახელმწიფოს დიდ საკითხს ზევიდან არ დაჰყურებს, ვისაც ჰსურს შინაგანი მშვიდობიანობა დაიცვას, იგი კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას ხმას მისცემს.

**ტაგანცევი.** კანონ-მოწინააღმდეგეთ უფრო განამტკიცეს რწმენა მისი აუცილებლობისაო.

**თ-დი ლობანოვი** კანონ-პროექტი ისევ კომისიას დავუბრუნოთ.

სახელმწიფო საბჭომ უარჰყო ლობანოვის წინადადება. საბჭოში კანონ-პროექტის წინააღმდეგი 45 კაცი აღმოჩნდა, მომხრე—101. მუხლობრივ განხილვას 11 ნოემბერს დაიწყებენ.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ტრამვაის გამოსყიდვა.** 1915 წელს სრულდება ის ვადა, როდესაც ხელშეკრულების ძალით ქალაქს უფლება აქვს უსახელო საზოგადოებისგან გამოისყიდოს ელექტრონის ტრამვაი. ამ საქმეში ქალაქმა ტრამვაის საზოგადოებას ფული იმისდა მიხედვით უნდა მისცეს, რამდენიც ტრამვაის უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში საშუალოდ წმინდა მოგება ექმნება. ქალაქის გამგეობამ საგანგებო კომისია აირჩია, რომელმაც თვალყური ადევნოს ტრამვაის შემოსავალ გასავალსა და საერთოდ ყველა ანგარიშებს. კომისიაში შედიან: ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთისკი, ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის თავმჯდომარე მ. ნ. ვისლოუხოვოვი, ქალაქის მთავარი ინჟინერი ი. ი. კოგნოვიცკი, ქალაქის მთავარი ბუღალტერი ს. დინდუროვი და ქალაქის მთავარი კონტროლიორი.

◆ **რედაქციამ მიიღო ნ. ზ. ცხვედაძის** გარდაცვალების გამო **სამგლოვიარო დეპეშები:** 1) **პეტერბურგის** ქართველ სათვისტომოს გამგეობისაგან; 2) **კიევის** ქართველ სტუდენტებისაგან, რომელთაც ქართული გიმნაზია გაუთავებიათ; 3) **მოსკოვიდან**—სტუდენ. ფურცელაძისა და ბერძნიშვილისაგან; 4) **ხარკოვის პოლიტეხნიკუმის სტუდენტების:** ფიცხელაურისა, კაკაბაძისა, ჯაშისა, ხუნცურაშვილისა, გულისაშვილისა და თუმანიშვილისაგან.

◆ **წვრილ კრედიტის სამმართველომ** დაადგინა, გახსნას წვრილ კრედიტის ამხანაგობანი შემდეგს სოფლებში: კასპში, ლამისყანასა და კავთისხევში (გორის მაზრა), შულავერსა და გარგეჩში (ბორჩალოს მაზრა), სოფ. ანაგაში (სიღნაღის მაზრა) და შეშიანსა და ურიათუბანში (თელავის მაზრა).

◆ **სახალხო კითხვათა საზოგადოება** 13 ნოემბერს შემდეგ კითხვებს გამართავს ქართულად: 1) ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი კარბელაშვილისა წაიკითხავს: „თავდადებული ხალხი", 2) მელაბრის საზოგადო კლუბში ქ-ნი ნასიძე წაიკითხავს „ფრინველების გადაფრენა შემოდგომაზე", 3) სამკურნალო საზოგადოების აუდიტორიაში ქ-ნი კლიმიაშვილისა წაიკითხავს „გარიყული კაცი" და 4) ნავთლუღის სამრევლო სკოლაში ბ-ნი ლაშქარაშვილი წაიკითხავს „ჩაი".

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე ქართულ გიმნაზიის შენობაში მუზეუმის გახსნის თაობაზე.

◆ **უწმ. სინოდს გადაუწყვეტნია** ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა შესახებ თანხას წელიწადში 1000 მან. მოუმატოს.

◆ **ტრამვაის ვაგონები.** გუშინ, ნაშუადღევის 1 საათს, გაჩერდნენ ელექტრონის ძალის მისუსტების გამო. ვაგონები 10—15 წამს იქმნენ გაჩერებულნი.

◆ 9 ნოემბერს, **მადათოვის ქუჩაზე,** სახლში № 17 **უეცრად გარდაიცვალა ნიკიფორე კორბანოვი,** 58 წლისა.

◆ 9 ნოემბერს, **ქალაქის მეშვიდე უბანში შეიპყრეს კარაპეტ კასპაროვი,** რომელსაც ფაშა **ფაშაევის** მაღაზიიდან 2,073 მან. საქონლის გატანა ბრალდება.

◆ 9 ნოემბერს ტფილისში 23 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

◆ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საერთო კრება 12 ნოემბერს მოხდება.

### სასწავლებლებში

◆ **საპოლიტეხნიკო კურსები.** ამას წინად ინჟინერთა ჯგუფმა საგანგებო კომისია აირჩია ტფილისში სატეხნიკო კურსების დაარსების პროექტის შესადგენად. კომისიამ დაადგინა განზრახულ კურსებს დაერქვას „ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები". კურსებს ხუთი განყოფილება ექმნება: 1) საელექტრო ტეხნიკო, 2) საინჟინერო-სამეხანიკო, 3) საინჟინერო-საამშენებლო, 4) სამიწისმზომელო და სამთო-საქარხნო.

◆ **დედათა საეპარქიო სასწავლებელში** სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად მ. პ. ბორეცკი დაინიშნა, ხოლო რუსულ სიტყვიერების მასწავლებლად მ. ვ. ბელიაევი. ორივენი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში კურს დამთავრებულნი არიან.

◆ **ტფ. სასულიერო სემინარიის** ეკლესიის მღვდლად სამთავისის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვარი მღვდელი გძელიშვილი დაინიშნა.

◆ **დედათა საეპარქიო სასწავლებლის** მასწავლებელნი საურთიერთო დამხმარებელ კასას აარსებენ. წესდება ჩქარა შემუშავებულ იქნება.

### ქუთაისი

◆ **ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის** ზედამხედველ კომიტეტს დაუდასტურებია ამავე ბანკის გამგეობის გადაწყვეტილება ბ-ნი დ. ჩიკვაიძის პენსიის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით ბ-ნი ჩიკვაიძეს წლიურად 900 მანეთი პენსია მიეცემა.

◆ საკრედიტო კანცელარიამ აცნობა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს,—თანახმად 34 რწმუნებულის განცხადებისა, **არაჩვეულებრივი კრება** უნდა მოიწვიოს.

◆ **ზესტაფონის დამწვარი** თეატრი შეიძინა 2500 მანეთად ქ. შ. წ. კ. გამავ. საზ. ზესტაფონის განყოფილებამ.

◆ ამიერ კ. რკინის გზის მმართველს უცნობებია ქუთაისის ქალაქის თავისთვის, რომ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის **შუამდგომლობა** შავი ზღვის ნაპირით რკინის გზის გაყვანის გამოკვლევის შესახებ **არ იქნა შეწყნარებული,** რადგანაც ამ საქმის გამოსაკვლევად მთავრობას თანხა არ გადაუდვია და საქმის გამოკვლევას 70,000 მან. ჰსაჭიროებსო.

◆ **ქვაფხილის საქმე,** რომელიც სენატში განიხილეს სახლის პატრონებმა მაჭავარიანმა, ბრელიძემ და სხვებმა, სენატს კანონიერად უცვნია და დაუდგენია, პირველად ქვაფხილის დაგება ქალაქს ევალება.

◆ ქუთაისიდან 30 ვერსის მანძილზე სოფ. მექვენასა და იფიტარში მცოდნე პირთ ინჟინერების დახმარებით **სპილენძის მადნის** ნიშნები აღმოუჩენიათ.

◆ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა" მიიღო „სორაპანის" გამოცემა **„დრამები და კომედიები"** ვ. აბაშიძისა და ხელის მომწერლებს შეუძლიათ მიიღონ იგი კანტორიდან. „მნათობი"

### ბათომი

◆ ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ბათომის საურთიერთო **ცეცხლისაგან დამზღვევ** საზოგადოების კრება ი. ბ. საბახტარაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა: 1) გეგმა მოძრავ ქონების დაზღვევისა და 2) ბუღალტერის წინადადება ფასების დაწევის შესახებ.

კრებამ ბუღალტერის წინადადება მიიღო.

◆ მეორე საპოლიციო ნაწილის **ბოქაულმა დააპატიმრა** სენაკის მაზრის მცხოვრები ვლადიმერ **ადამია,** რომელსაც ბრალს დებენ ძველ სენაკზე თავდასხმაში მონაწილეობის მიღებაში. გამოირკვა, რომ ადამია ადმინისტრატიული წესით გადასახლებული ყოფილა ტამბოვის გუბერნიაში, საიდანაც თავის ნებით წამოსულა და იმალებოდა სხვა და სხვა კავკასიის ქალაქებში. ადამია ეტაპით იგზავნება სენაკში. („ბათ. გაზ").

### კავკავი

◆ ამას წინად ვსწერდი, რომ კავკავიდან ეკატერინოსლავში გადაიყვანეს **ყ-დ სამღვდელო ალაპიტი.** 26 ოქტომბერს, კავკავის სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელმა გააცილეს ალაპიტი. საკრებულო ტაძარში გადახდილი იქმნა პარაკლისი. წარმომადგენელთა შორის იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი ქართველების წარმომადგენელნი. წ. კ. ვ. თავმჯდომარემ ი. შვილიევმა ღვთისმშობლის ხატი მიართვა და ღვდელმა გ. ნათაძემ გაცილებით საკადრისი სიტყვა უთხრა, რაზედაც ყ-დ სამღვდელო ალაპიტმა უპასუხა ქართველი ხალხი კავკასიაში ყველა ხალხებზე კულტურულია და კერძოდ კავკავის ქართველობამ დაამტკიცა ასეთი კულტურული მუშაობაო.

◆ 29 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე, კავკავში მოხდა შემაძრწუნებელი ამბავი. **ოცდა ათამდე შეიარაღებული ქისტი** დაეცა კირაკოზოვის ფართლეულობის მაღაზიას. დაატყვევეს ურმები ფართლეულობით, ფული 56 მანეთამდე გაიტაცეს და გაუდგნენ გზას. დაედევნა პოლიცია. მოჰკლეს პოლიციელი, მძიმედ დასჭრეს ღამის ყარაული და მიიმალნენ. ბოროტმოქმედნი ვერ შეიპყრეს. სასტიკი ზომებია მიღებული.

◆ **ზელიმ ხანის** დასაჭერად სასტიკი ზომებია მიღებული. შესაპყრობათ გაგზავნილი პოლკოვნიკის მარგანია. იგი სასტიკ ზომებს ღებულობს, მაგრამ **ჯერ-ჯერობით** მიზნისთვის ვერ მიუღწევია.

### პროვინცია

◆ **ს. საგურამო.** კვირას, 6 ნოემბერს, საგურამოს ტყეში ვიღაც უცნობმა თოფით დასჭრა ზედაზნის მონასტრის დარაჯი. დამნაშავის ვინაობა გამოურკვეველია.

◆ **ს. საგურამო.** ნ. ზ. **ცხვედაძის** გარდაცვალების გამო 3 ნოემბერს, ხუთშაბათს, საგურამოს სკოლაში სწავლა შესწყდა. მოწაფეებისა და ხალხის თანადასწრებით განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

### სამტრედია

◆ 4 ნოემბერს, ღამის 11—12 საათზე ატყდა **საშინელი თოფის სროლა.** მცხოვრებლები შიშმა აიტაცა ეგონათ, თუ რკინის გზის სადგურს ან ფოსტას ყაჩაღები დაეცნენო. მეორე დღეს გამოირკვა შემდეგი: პარასკეობაზე (ბაზრობაა) სოფლიდან ჩამოსულ სტრაჟნიკებს ენახათ თავისი მეგობარი ადგილობრივი სტრაჟნიკები და ჩიცხვით რვა კაცი წასულიყვნენ „დროს გასატარებლად" „ნოვი სვეტის" (ქუჩის სახელია დ. სამტრედიაში) ერთ-ერთ სამიკიტნოში კარგა დაელიათ, რასაც ბოლოს მუშტი-კრივი და თოფის სროლაც მოჰყოლოდა დაჭრილია მსუბუქად 7 კაცი. დაჭრილები სტრაჟნიკები და პოლიციელები არიან. სროლის ხმაზე გამოვიდა რკინის გზის სადგურის მცველთა 1 როტა ჯარის კაცი.

**შეცდომის გასწორება: გ. რცხილაძის** გუშინდელ „კერძო განმარტებაში" ბოლოში **შეცდომით დაბეჭდილი:** „უნდა მოგახსენოთ, კრების დღეს ქართველ ამომრჩევლებთან მე უკვე ყოველივე კავშირი **განუწყვეტელი** მექნებოდა" უნდა იყოს **გაწყვეტილი** და სხ.

## ქუთაისის ვითარება

ხშირად გვითქვამს, რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილია და საკულტურო საქმეს ნივთიერის დახმარებით ხელს არ უწყობსო. საზოგადოდ ეს ბრალდება მართალია, კერძოდ ქუთაისის თეატრის მიმართ, საბედნიეროდ, ამას ვერ ვამჩნევთ. უკვე აღვნიშნეთ რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს სახსრის მოპოვება ქუთაისის დრამატიული საზოგადოების დეფიციტის დასაფარავად, დიდი უნარი გამოიჩინა. ამავე კომისიამ

# ანტიპედაგოგიური ჭიუტობა

## „კოლხიდის" პედაგოგისა.

შემდეგი *)

ნაციონალურ დეფექტად უნდა მოაჩვენოს პედაგოგმა აგრეთვე ისა, რომ მე ქებით მოვიხსენიე რუსეთის პატარა აღწერაში პუშკინი, გოგოლი, და სხვა საუკეთესო რუსის მწერლები, ჩავურთე პუშკინის და გოგოლის პორტრეტები და ზედ მოვაბი მოკლე ბიოგრაფია ლომონოსოვისა: ეს ბიოგრაფია ამოვიღე ერთ საუკეთესო რუსულ წიგნიდან, და ამით „რუსკოე სლოვოს" ერთი ახალი სასარგებლო რამე შევმატე, შევმატე მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ლომონოსოვის ცხოვრებისა და მოქმედების გაცნობა უძლიერეს აღმზრდელს ზედ-გავლენას იქონიებს მოსწავლეებზე. პედაგოგის აზრით, რუსეთის აღწერაში მე უნდა ჩამერთო ქართველ მწერლების სურათები და ქართველ მწერლების ბიოგრაფიები. უყურეთ, რა ულტრა-ნაციონალისტი ყოფილა ჩვენი პედაგოგი! სადაც ნაციონალური ნიადაგი უკიდურესად საჭიროა, იქ უარჰყოფს, ხოლო სადაც იგი უადგილოა, სჩხირავს. ქართულის მწერლების სურათები და საუკეთესო ქართულის მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია „ბუნების კარში" მაქვს მოქცეული და ეს მასალაც რომ გადამეტანა რუსკოე სლოვოში, იგი თარგმნად გადაიქცეოდა ქართულიდან და სასაცილო სახეს მიიღებდა. ამ გვარი მასალა უფრო საჭირო და შესაფერი იყო თქვენი ნაქები ქრისტომატიისთვის, მაგრამ თქვენ ამაზედ არაფერს ამბობთ. რაც შეეხება მოთხრობას: „Любовь къ ближнему", რომლის შინაარსი ამოღებულია რუსეთის ცხოვრებიდან და ნასესხებია რუსულ წიგნიდან, იმისი მცირეოდენი შეცვლა და გადმოქართულება შეასუსტებს იმ ღრმა კაც-მოყვარულს შთაბეჭდილებას, რომელიც უნდა მოახდინოს მან ყოველის ყმაწვილის გულში, და ამის გამო ხელუხლებლად დავბეჭდეთ იგი ჩვენს წიგნში.

მოგონებანი რუსის ბავშვისა, თუ როგორ იდღესასწაულა დაბადება, ნათლისღება და აღდგომა ქრისტესი, ამოღებული მაქვს უშინსკის „Родное слово"-ს მეორე ნაწილიდან, რომელიც დანიშნულია მეორე წლისათვის. ჩვენ ეს მოგონებანი მოვაქციეთ სასულიერო ზნეობრივს განყოფილებაში, რომელიც ისწავლება მესამე წლის გასულს, ან მეოთხე წლის პირველს ნახევარში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ გვარი მოგონებანი ყმაწვილისათვის მეტად სახალისოა და სწორედ ამის გამო ჩავურთეთ იგინი წიგნის ბოლოში. ეს მოგონებანი გაუღვიძებენ ჩვენებურს მოსწავლეებს თავის საკუთარს მოგონებას ამავე უქმეების შესახებ, იგინი შეადარებენ რუსეთელს და ჩვენებურს უქმობას, რა საკვირველია რუსულს ენაზე, და სასარგებლო ვარჯიშობას გამოსცდიან. ამას უსათუოდ მოიქმედებენ, რადგანაც მოგონების ბოლოში ვითხოვთ ბავშვისაგან საკუთარის მოგონების გახსენებას და შედარებასა. ჩვენ ვერ გაგვიგია, რა არ მოსწონს აქ ჩვენ პედაგოგს.

უბედურო პედაგოგო, თქვენ რუსეთის მწერლების სურათების და ლომონოსოვის ბიოგრაფიის ჩამატებას ჰხსნით იმითი, ვითომც მე ამითი გულის მოგება მინდოდა ბიუროკრატიისა. სწორედ ამაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარით. დიაღ, ბატონო, თქვენ როგორც ყველაფრიდან სჩანს, ეკუთვნით იმ გვარს პედაგოგებს, რომელნიც ბიუროკრატიის წინაშე ძრწიან, კანკალობენ და მონურად ემორჩილებიან. თქვენ, მაგალითად, ჰქადაგობთ, ვოსტორგოვის გეგმას, უარჰყოფთ თარგმანს, დედაენის დახმარებას რუსულის ენის სწავლებაში, და მუნჯურ მეთოდს გამოცვლილ სახელით იხსენიებთ, როგორც საუკეთესო ღონისძიებასა. მონობა ამაზე შორს ვეღარ წავა. ჩვენ კი, შეძლებისდა-გვარად, ყოველთვის კვალში ვუდექით ბიუროკრატიის პოლიტიკანობას, ვითხოვდით ძირითადი კანონების დაცვას, ვამხელდით მისს თავნებობას. ქართველთა ცხოვრებაში ყოველს ნაბიჯზე ხდება უკანონობა, მეტადრე განათლების სფერაში, ითრგუნება პედაგოგიური პრინციპები, დამლუპველი უკულმართობაა გამეფებული. ახლა გკითხოს კაცმა თქვენ და თქვენ მოძმეებს: ამის თაობაზე თუნდ ერთი კრინტი დაგიძრავთ? არასოდეს. რამდენად იყო საამებელი სამოსწავლო ბიუროკრატიისათვის ჩემი „Русское слово", ამის შესახებ მჭევრმეტყველებად ღაღადებენ უტყუარი ფაქტები, რომელიც სხვა მხრივაც საინტერესონი არიან და ამჟღავნებენ ბიუროკრატიის „კეთილ მიდრეკილებას" ჩვენის ერის განათლებისადმი.

პირველ გამოცემას ჩემის „რუსკოე სლოვოსას" არ აღირსეს მოწონება. როცა ჯეროვანი ქაღალდით შემატყობინა ეს ზრუნველმა, მე წარვუდგინე არზა, რომლითაც ვითხოვდი კოპიოს ოფიციალურის რეცენზიისას, რის ძალით უარყოფილი იყო ჩემი წიგნი. მივიღე თუ არა ეს კოპიო, მაშინვე შევუდექ მის გამტყუნებას, რაც დიდს ძალას არ ითხოვდა. ამ რეცენზიაში სხვათა შორის უვარგისად და მავნებლად იყო აღნიშნული თორმეტი მოთხრობა, რომელთაგან ექვსი იყო უცვლელად გადაბეჭდილი. რუსული მოწონებული სახელმძღვანელოებიდან, ექვსიც ამოღებული ხონის საოსტატო სემინარიის პროგრამიდან, რომელიც დამტკიცებული იყო მზრუნველისაგან. როცა ეს ფაქტი და სხვა მათნი მსგავსნი გავუთვალისწინე მზრუნველს, იმან მითხრა: დიაღ, ჩვენი მახეილ რომელიჩი (ზავადსკი) სასტიკად მოჰყრობია თქვენს წიგნსა; მაგრამ ჩვენ ახლა ვერ შევიწყნარებთ თქვენ თხოვნას, თუნდაც იგი სამართლიანიც იყოს. ვერ წარვუდგენთ ნამესტნიკს დასამტკიცებლად იმისთანა წიგნის მოწონებას, რომლის მოუწონებლობა მან დაამტკიცა ამ ახლო ხანში. ჩვენ სხვა გზით მოვიყვანეთ სისრულეში თქვენს სურვილსა: ვეტყვით და მივწერავთ კერძოდ დირექტორებს, რომ დაბრკოლება არ აღმოუჩინონ თქვენის წიგნის ხმარებას სკოლებში. პირველი გამოცემა მალე უნდა გაიყიდოს, მეორე გამოცემისათვის მოახდინეთ ზოგიერთა ცვლილებას, დაბეჭდავთ და წარმოგვიდგენთ გასახილავათ, და ჩვენც მოვიწონებთ მას ოფიციალურად. მე მზრუნველის აღთქმამ დამაკმაყოფილა და წინააღმდეგობა აღარ გავწიე. პირველი გამოცემა ერთს წელიწადს გაიყიდა; მეორე შესწორებული გამოცემა დავბეჭდე, წარვადგინე და მოწონებულ იქმნა.

მაგრამ თანაშემწე მზრუნველისა მაინც არ დაცხრა. მან ლევიცკის სახელმძღვანელო, დამყარებული თარგმანზედ, ავტორს გადააკეთებინა მუნჯურის მეთოდზე, და მეტად შეავიწროვა ჩემი „რუსკოე სლოვო"-ს ხმარება. სადამდინ მიდიოდა ამ ბობოლა ბიუროკრატიის მტრობა „რუსკოე სლოვო"-ს შესახებ, სჩანს შემდეგი ფაქტიდან. მე მეშვიდე გამოცემაში მე ბოლომდე მოვახდინე ცვლილება და

*) იხ. „სახ. გაზეთი" № 447.

ექიმ ხეჩინოვის მეთაურობით, წინანდელ 1000 მ. გარდა შეკრიფა 1000 მანეთამდე. ვისთვისაც კი მიუმართავს კომისიას, უარი არავის უთქვამს. სხვათა შორის, პავლე მოსეშვილს შეუწირავს 500 მანეთი.

ასეთი გულ-უხვობა საზოგადოებისა იმით უნდა აიხსნას, რომ თეატრის საქმე ქუთაისში ჯეროვან დონეზეა დაყენებული და დასი და მისი სულის ჩამდგმელი ბ-ნ მ. ქორელი არაფერს ზოგავენ, რომ თეატრის საქმე განამტკიცონ და საზოგადოების ნდობა მოინადირონ.

* *

წრეულს გაზაფხულზე, როცა ბანკის რწმუნებულთა კრებები იყო, გული სიხარულით გვევსებოდა, როცა გვესმოდა, რომ ბათომში ისეთი ღვთისნიერი გამგე მოეპოვებინა ბანკს მაზე დარჩენილ მამულების გამგეთ, რომ დარჩენილი მამულების შემოსავალი უნუგეშოს არაფერს წარმოადგენს, რადგან ბანკს დიდი ზარალი არ მოსდიოდა. ეხლა, როცა იგი ღვთისნიერი კაცი გადადგა, ირკვევა, რომ გაზაფხულის იმედები გაზაფხულს არ გასცილებია და ბათომის მამულები თუ მეტს არა ნაკლებ ზრუნვას არ იწვევს ტფილისისაზე. ხოლო გამგის კარგი გამგეობა იმაში გამოიხატა თურმე, რომ ბანკის მამულებს პატრონი არ ჰყავდათ, რის გამო გაპერანებული აღმოჩნდნენ.

## წერილი მოსკოვიდან

1

ამა წლის ოქტომბრის 30-ს ქ. მოსკოვში „ქართულ კულტურის მოყვარე მეორე წრემ (არა სტუდენტურმა) ნიკ. ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად საღამო გამართა. ქალთა კლუბის პატარა დარბაზი საზოგადოებას ვერ იტევდა. რაკი დარბაზი ხალხს ვეღარ იტევ-ბევრი ქუჩაში დარჩა და დაღონებული სახლში დაბრუნდა. ასეთი ინტერესი იმით უნდა აიხსნას, რომ, როგორც ცნობილია, რუსეთის საზოგადოება კავკასიას და კერძოდ კი ჩვენს ქვეყანას სრულებით არ იცნობს. კავკასია აქაურებისათვის ზღაპრული ქვეყანაა, ქვეყანა გმირობისა, ვაჟ-კაცობისა, უშიშრობისა, სილამაზისა და... ყაჩაღობისა. ერთი სიტყვით, ეს ქვეყანა რომანტიული ქვეყანაა, სადაც ყველაფერი თავისებური, არა ჩვეულებრივი, ლამაზი, მრისხანეა; მაგრამ აქ ადამიანის სიცოცხლე არადა ჰფასობს. აქ ადამიანი ყოველ ბიჯზე ჰნახავს მკვლელობას, ყაჩაღობას, დიდ მთებს, ლამაზ ქალებს, მამაც ვაჟ-კაცებს, ველურობას და ხანჯალს. ამიტომაა, რომ აქაურ საზოგადოებას ეშინიან კავკასიისა და თან სული-მწარედ უნდა მისი ნახვა. კავკასიაში ყოფნა აქაურ ქალებს ხომ იცნებათ აქვთ გადაქცეული. ეს არის მიზეზი, რომ ამ საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არსად გამოცხადებული არ იყო, ხალხი ბლომად დაესწრო და გულ-მოდგინებით ისმენდა ყველაფერს. სანახავად ჰღირდა სიხარული საზოგადოებისა, როცა მას გამოუცხადეს, საღამოს დასასრულს ლეკური იქნებაო.

საღამო ბ. შალვა ქარუმიძის ლექციით დაიწყო. ლექტორმა მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვით გააცნო საზოგადოებას ბარათაშვილის პოეზია. მან პარალელი გაატარა ბარათაშვილის და ბაირონის პოეზიათა შორის და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ აზრისა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული, ბარათაშვილი უმწეო, უღონო პესიმისტი არ არის, რომ ბარათაშვილს ბლომადაც აქვს მხნე მოტივები, სადაც სჩანს მისი სიყვარული ბრძოლისადმი, ბუნებისადმი, სამშობლოსადმი და ღმერთისადმი. ამას გარდა, ლექტორმა გააცნო საზოგადოებას ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსი, მისი მსოფლმხედველობა, სევდა და კაეშანი. აღნიშნა აგრეთვე ის მიზეზებიც, რომლებმაც ბარათაშვილის ეს სევდა-კაეშანი შექმნეს. ერთ უმთავრეს მიზეზად ლექტორმა დაასახელა 1832 წ. შეთქმულების დამარცხება. გავრცელებულია ის აზრი—სთქვა ლექტორმა,—თითქოს ეს შეთქმულება ძალიან უნიადაგო და ბავშური იყოსო. მაგრამ ეს ასე არ არისო. ეს შეთქმულება კარგად იყო მოწყობილი, სათავეში ევროპულად განათლებული ხალხი ედგა, ამიტომ ეს შეთქმულება წითელ ქართველ ინტელიგენციას აერთებდაო. როცა შეთქმულება ჩაიფუშა, ინტელიგენციას გული გაუტყდა და ამ შეთქმულების გამომხატველი ლიტერატურაში ბარათაშვილიაო. ეს მართალია, მაგრამ ეს შეთქმულება გულ-გატეხილობის ერთ უმთავრეს მიზეზად ვერ ჩაითვლება, არ გამოვუდგებით, თუ რატომ. ვიტყვით მხოლოდ, რომ უფრო მართალი იქნებოდა, თუ ლექტორი 1804-სა და 1812 წლების აჯანყებათაც აღნიშნავდა. 1832 წელს, როცა ინტელიგენციას გული გაუტყდა, ხალხი უკვე დიდი ხნის გულ-გატეხილი იყო. ისე, რომ ამ დროს ჩვენში გულ-გატეხილობის ატმოსფერა უკვე არსებობდა; თვით ბარათაშვილი ამ გულ-გატეხილობის ატმოსფერასა და დროს დაიბადა. არ ვიცით, რად დასტოვა ლექტორმა ეს გარემოება უყურადღებოდ, მაგრამ ეს მისი საქმეა. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ლექცია საერთოდ კარგი იყო, კარგად აუხსნა საზოგადოებას თემა და ამ საღამოს მეტი არ იყო საჭიროც.

დიახ! ლექცია კარგი იყო, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ქართულმა დაუდევრობამ აქაც იჩინა თავი. რამდენადაც კარგი იყო საღამოს პირველი ნაწილი (ლექცია), იმდენად უვარგისი იყო მეორე ნაწილი—სამუსიკო და სალიტერატურო. საქმე ის არის, რომ რაკი საღამო ბარათაშვილის სახელობისა იყო, ყველაფერი მისი უნდა ყოფილიყო. აქ კი უკუღმა გამოვიდა. იმღერეს და დაუკრეს ყველაფერი. ბარათაშვილისა კი არაფერი. იმღერეს რომანსები (არა ქართული) დაუკრეს ბაითები (ი. აბაშიძემ ვიოლონჩელზე და სტ. ირ. ამირაჯიბმა თარზე), როიალზე დაუკრეს არაყიშვილის ლეკური, მაგრამ ყველა ამას, მოგეხსენებათ ბარათაშვილთან საერთო არაფერი აქვს. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ საღამოსათვის პროგრამა წინდაწინ რიგიანად არა ჰქონდათ შემუშავებული. საღამოს პროგრამის ნომრებს სახელდახელოდ და შემთხვევით იქვე ადგენდნენ. ბარათაშვილის ლექსების წამკითხავიც კი არა ჰყავდათ. ეს ლექსები რუსულად წაიკითხა ბ. არაყიშვილმა წაიკითხა წიგნში. მართალია, არაყიშვილი მუსიკანტად ცნობილია, მაგრამ დეკლამატორად არ გამოდგა; რომ მოესურვებინოთ საღამოს მეთაურებს, წამკითხველს მუდამ იშოვიდნენ. ერთი სიტყვით, საღამოს დიდი უორგანიზაციობა და შინაარსულობა ეტყობოდა. ე'ეთი საღამო საქართველოს რომელსამე მიყრუებულ პროვინციაში რომ გაიმართოს, არა უშავს რა, მაგრამ მოსკოვში კი სირცხვილია.

წრეს ქალთა კლუბმა კვირაში ორი დღე დაუთმო. მას გადაწყვეტილი აქვს მუდამ ჰმართოს ხოლმე ქართული საღამოები. კარგი აზრია, მაგრამ შემდეგისთვის უფრო კარგად უნდა მოემზადნენ.

ქართველ სტუდენტებსაც აქვთ თავიანთი წრე ასეთივე სახელით „ქართულ კულტურის მოყვარეთა წრე“. შარშანდელ არეულობის აქეთ ეს წრე დაიმალა. ეხლა ხელ-ახლად აპირებს გამოცოცხლებას. ვნახოთ, ეს რაღას იზამს.

ა. ტ.

## სამეგრელოს ავ-კარგი

არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე, რომ სამეგრელო მეტად ჩამორჩენილია იმ კულტურულ ვანვითარებას, რომელიც ასე თუ ისე ეტყობა საქართველოს სხვა კუთხეებს. იგივე მოვლენა ეხატება დღესაც თვალწინ ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეს და მის გულშემატკივარს. თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან შედარებით, სამეგრელოშიაც, როგორც საზოგადოთ მთელს საქართველოში, ეკონომიურმა ტენდენციამ სისწრაფით იჩინა თავი. მრავალ მეგრელთაგანს დღეს უმთავრეს ხელობად ვაჭრობა, აღებ-მიცემობა გაუხდია; არა ერთი და ორი გადახვეწილა სხვა და სხვა მხარეში ბედის საცდელად, რადგანაც სამშობლო კერაზე ათას მიზეზების გამო ვერ მოუმაგრებია ფეხი.

შავი ზღვის პირების დაბა-ქალაქებში უმთავრესი ნაწილი ვაჭრებისა და მუშებისა მეგრელებისაგან შესდგება. ბევრს მოუკიდნია მტკიცედ ფეხი და კარგი ქონებაც შეუძენია. ფოთში, სოხუმში, ოჩემჩირეში, გუდაუთში, სოჩში, გაგრაში, ბათომში,—დიდი ძალი მეგრელი ვაჭრებია. თვით ქუთაისში. უმთავრეს ნაწილს შეძლებულ ვაჭრებისას დღესაც მეგრელები შეადგენენ.

რაც შეეხება სამეგრელოს, აქ, რასაკვირველია, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა თითქმის მარტო მეგრელების ხელშია. დიდს უნარს იჩენენ მეგრელები ვაჭრობაში.

სწორედ ამისათვის არიან ასე განრისხებულნი მეგრელებზე „ზოგიერთები“ და დაუღალავათ ჰქადაგებენ მეგრელების არა-სამეგრელობას და მავნებლობას ახალი კულტურისათვის, მაგრამ, ამ „ზოგიერთებთა“ სავალალოდ, მეგრელები დღითი-დღე უფრო მტკიცედ იდგამენ ფეხს ამ სხვებისათვის აღთქმულ ქვეყანაში.

თვით სამეგრელოში მეგრელები გაცილებით დაბლა სდგანან ეკონომიურად, ვიდრე მათი გადახვეწილი თანამოძმენი, რაც იმას მიეწერება, რომ საზოგადოდ სამეგრელო ეკონომიურად ამ ჟამად მეტად დაქვეითებულია.

მრეწველობას ჯერ ჩვენში ფეხი ვერ აუდგამს და სიმინდს კი, რომელიც დღეს შეადგენს ერთ უმთავრეს საგანს ადგილობრივ წარმოების და ეკონომიურ კეთილდღეობისას ამ უკანასკნელ 5—6 წლებში ფასი ძლიერ დაუვარდა. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ აღებ-მიცემობაზე. სიმინდის თესვა-მოყვანა სამეგრელოში დღესაც პირველ-ყოფილ „კინახონას“ (აჩეჩი) სწარმოებს.

მეგრელს კარგად აქვს შეგნებული, რომ მუდმივი მუშაობით მიწა ილღება, ნოყიერება ეკარგება. ამისათვის რამოდენიმე წელს მიწას ასვენებს და შემდეგ ისევ იწყებს იქვე თესვას. სხვა გზა, სხვა სახსარი მიწის გასანოყიერებლად ვერ უპოვია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ მიუგნია. არ შემიძლია არ ვუსაყვედურო იმ პირთ და დაწესებულებათ, რომლებიც სპეციალურ სამეურნეო ცოდნით არიან აღჭურვილნი და ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევენ; სხვა რომ არა იყოს რა, პატარა ბროშურები მაინც შეეძლოთ გამოეცათ. მიწის დანოყიერებაზე, რასაც დიდის წყურვილით დაეწაფებოდა ყველა ჩვენი მიწის მუშა.

სამეგრელოში აბრეშუმის მოყვანასაც დიდის ხალისით ეტანება ხალხი, მაგრამ აქაც, საუბედუროთ, იგივე უვიცობაა. მეგრელისთვის არავის უთქვამს, როგორ უნდა მოუაროს აბრეშუმის ჭიებს; ისე უვლის, როგორც მისი წინაპრები და სწორეთ ამ მიზეზით, ე. ი. მოვლის უცოდინარობის გამო, ხშირად შეხვდებით სამეგრელოში ოჯახს, რომელსაც ორი თვის შრომა სრულიათ ეკარგებათ. მიზეზისათვის კი ვერ მიუგნია. ნუ თუ ამაში საყვედურის ღირსი არ არის მეაბრეშუმეთა საზოგადოება, რომ არავითარ სპეციალურ ცოდნას არ აწვდის ხალხს ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად?

სწავლა-განათლების საქმე საზოგადოდ და განსაკუთრებით ქართული წერა-კითხვის გავრცელება სამეგრელოში უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ მხრით სამეგრელო სვანეთსაც კი გადააჭარბებს, სხვა მეტოქე ვერ აღმოუჩნდება მთელს საქართველოში. თვით თავად-აზნაურობაშიც ბევრი მოიპოვებიან იმისთანები, რომლებსაც სახელის და გვარის ქართულად მოწერა არ შეუძლიანთ; გლეხობა ხომ სრულებით უმეცრების ბურუსშია გახვეული და მუხლს იდრეკს ათასგვარ ცრუმორწმუნეობა— ზნე-ჩვეულებათა წინაშე; ერთი სიტყვით ხალხი სამეგრელოში სრულიათ ჰკარგავს სამშობლო ენას, იმ ენას, რომელზედაც უწყვეტ-ულაპარაკნიათ ჩვენს წინაპრებს საუკუნეთა განმავლობაში და ხელიდან ეცლება თავის ისტორიული ვინაობა.

ნუ თუ არ არსებობს სამეგრელოში სკოლები, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და არ ეძლევა ხალხს რომ უვიცობას თავი დააღწიოს და უბრალო წერა-კითხვა მაინც ისწავლოს? იფიქრებს მკითხველი.—დიახ, ბატონებო, აქ არსებობს სამინისტრო და სამრევლო სკოლებიც, მაგრამ საკითხი ის არის თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს ეს სკოლები სამეგრელოში.

სამინისტრო სკოლები, არამც თუ არ აძლევს ხალხს არავითარ შემწეობას, არამედ კიდევაც ხელს უშლის მის წინმსვლელობას, რადგანაც ფრიად უნიადაგოდ არის დაყენებული ამ სკოლებში სწავლის საქმე. ის ლევიცკ აშორდიას მუნჯური მეთოდი, რომელიც დღეს გამეფებულია ამ სკოლებში სრულებით უარჰყოფს სამშობლო ენას და ძალას ატანს ბავშვის ნორჩ ბუნებას, რის გამოც მათ უფრო უჩლუნგდება ტვინი. ასეთი სკოლები უფრო მავნებელია ხალხისთვის, ვიდრე სასარგებლო.

ე. ალშიბაია.

(დასასრული იქნება)

## მოწერილი ამბები

ს. ახმეტა (შიდა-კახეთი). ს. ახმეტიდან ქ. თელავამდე და თიანეთამდე გზა ტკეცილი მიდის, რომლის კეთებაზე ცოტა ფული არ იხარჯება. ოთხოხუთი წელიწადია რაც თელავიდან თიანეთამდე ამ გზაზედ ფოშტის სადგურები დამართეს და მისვლა-მოსვლაც საფოსტო ცხენებით გაიმართა. ეს გზა იჯარით ვინმე მატიაშვილსა აქვს აღებული: თქვენს მტერს, როგორიც მას ან ნასაჯდომები აქვს, ან ცხენები ჰყავს; ერთი საათის სავალი ხუთ საათს უნდა იაროთ და მერე როგორის საიმოვნებით—სულ კბილი-კბილს უნდა გაცემინებდეს ურესორო „ტროიკა“, ნამთხვევით და თავისა და ფერდების ტკივილი კარგა ხნობამდის გაგყვებათ, ასე რომ ძილში თუ ფხიზლადაც მატიაშვილის ტროიკა გელანდებათ. ამ გაზაფხულიდან, რადგან მოსაზრებით, ტფილისიდან თიანეთის ფოსტამ თელავ-ახმეტაზე იწყო სიარული. ამ ზაფხულსვე ს. ახმეტაში გაუხსნა საფოსტო განყოფილება, დაინიშნა მოხელე. ჩვენც ცოტა არ იყოს, იმედი მოგვეცა: მატიაშვი ეხლა მაინც გაასწორებს მამოსვლის საქმესაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაიბერტყა და მგზავრებს ძველებურად უმასპინძლდება. მგზავრებს ორ ცხენს შეუბამენ, ხოლო ფასს სამი ცხენისას ართმევენ, უკან დასაბრუნ ცხენებით გაგზავნიან, ხოლო სრულ ფასს იღებენ. და სხვა ამისთანებს თელავ არა აქვს.

თელავში მატიაშვილის ცხენებზე ხომ ნუღარას მეტყვით. აი საბუთი: შორეულ კიარგაბისთვის ფოსტა გაგზავნეთ და თელავის ფოსტას გელოდით. ფოსტამ შეაგვიანა, მიზეზი არ ვიცოდით. ამ დროს მოვარდა კაცი: ფოსტის მოხელეს და დარაჯს გამოეხვიეს, ქანტურს აქვთ ცხენები დაგვიწყდა, არაქა ცხენები მოგვეშველეთო. რადგანაც მატიაშვილს ცხენების იმედიც არა ჰქონდა, ფოსტის უფროსმა მეეტლე გოთაშვილის „დილიჟანსის“ ცხენებით და ამოიტანა ფოსტა. მშვენიერი დარი იყო, გზა ხმელეული, ფოსტა მსუბუქი. საჭიროა ამნაირ მატიაშვილს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

არსოდიანი.

## ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

9 ნოემბერი

**იჩანი.** ხანკოუში რუსის დაწესებულებანი, საელჩო, რუსეთ-აზიის ბანკი და ფოსტა ღიაა.

**შანხაი.** პროვინციის დელეგატების წინასწარი თათბირი მოხდა. უტინფანი არ დასწრებია. თათბირის შედეგს არ ამხელენ. ნანკინში ბრძოლას ელიან. გენერალ ჩჟანის საქმე ცუდად არის. ამბობენ, იგი შეეცდება მდინარე გასცუროსო. შანხაიდან ნანკინს ჯარსა ჰგზავნიან.

**ხანკოუ.** რუსეთის ახალშენის მცხოვრებთა უმეტესობა ხანკოუში რჩება. ზოგი შანხაისა და იაპონიაში გაემგზავრა.

**ტოკიო.** მმართველთ არა სწამთ, რომ იუანშიკაის ჩინეთის დამშვიდება შეეძლოს. დინასტიის დამარცხება შესაძლებლად მიაჩნიათ. დიდი მითქმა-მოთქმაა საქმეში ჩარევის გამო. დიდს ყურადღებას იქცევს გერმანიის მოქმედება.

**პეკინი.** დამტკიცეს ტახტისადმი მოხსენების წარდგენისთვის შემუშავებული ახალი წესები. ყველა საქმეს მინისტრთა საბჭო განიხილავს და გადასწყვეტს კიდეც, ან მეფის დასტურს მოითხოვს. აქაური ოფიციოზი იუწყება, შენსიში უკუხოლენი ყაჩაღებმა დახოცეს და მთავრობას ბრალს ვერ დავდებთო.

## იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

9 ნოემბერი

**ტრიპოლი.** იტალიის არტილერიამ სიდიმესრისთან 8 ნოემბერს ოსმალებს რამდენჯერმე სროლა აუტეხა. ორ საათზე ჯავშნოსანმა „კარლო-ალბერტომ“ ჰაეროპლანის ჩვენების მიხედვით, სროლა დაუწყო ამრუსსა და შემდეგ მტრის ბანაკს მელლიკიდან სამხრეთით. ოსმალთა ჯარმა, ეტყობა—ქვეითმა, ბენსაიდისაკენ დაიხია. „კარლო-ალბერტომ“ აქაც დაუშინა ზარბაზანი და ამ პოზიციიდან ბუსკაფისაკენ დაახევინა. მტრის გაქცევის მერეც არ შეუწყვეტნია სროლა „კარლო-ალბერტოს“ და რამდენიმე ყუმბარა უკან დაადევნა.

გუშინ სამხედრო სასამართლომ 20 წლის ციხე გადაუწყვიტა ფანატიკოს მაჰომედ-ფეტმბეის, რომელსაც არაბებზე დიდი გავლენა ჰქონდა მქადაგებლობით და 10 და 13 ოქტომბერს არაბებს იტალიელების წინააღმდეგ ასაჯანყებლად მოუწოდებდა.

### გაზეთებიდან.

ვენა.

უკანასკნელ ხანს დიდი მითქმა-მოთქმაა იტალია-ოსმალეთის ომის გამო და იმის თაობაზე, რა გავლენა აქვს ამ ომს ევროპის საქმეებზე.

ლონდონი.

მალტიდან იუწყებიან, ტრიპოლიელ არაბებს გაჩხრეკის დროს კიდევ უნახეს იარაღიო. აღმოჩენილ იარაღს დამცველი რაზმები ართმევენ და იმ სახლებს კი, სადაც იარაღს აღმოაჩენდება, აფეთქებენ ხოლმე.

ბერლინი.

დიპლომატთა წრეებში ჰფიქრობენ, ეგეის ზღვის ზოგიერთი კუნძული იტალიამ რომ კიდეც აიღოს, ოსმალეთს დათმობაზე მაინც ვერ დაითანხმებსო.

ბერლინისა და ვენის გაზეთები ძალიან უიმედოდ შეჰყურებენ იტალია-ოსმალეთის ომს.

„კელნიშე ცაიტ.“ სწერს, დაწყებულმა წვიმამ იტალიელებს თავგზა აუბნია. ეს რომ სცოდნოდა იტალიელებს, ომს არც კი დაიწყებდნენ. მოწინავე პოზიციებზე 15 ათას კაცამდე სდგას და ღამის სიცივისა და წვიმისაგან ძალიან იტანჯება. 18 ოქტომბერს შუაგულ ქალაქში რამდენიმე ყუმბარა დაეცა. თურმე იგი ოსმალებს ესროლნით. იტალიელები თვალებს არ უჯერებდნენ, მაგრამ ჩქარა მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო და სროლაც—ძლიერი. ქალაქში 60 ათასი მცხოვრები იყო, ოაზისში—20 ათასი. ამ სამოც ათასში 8 ათასი არაბი და ოსმალი ქალაქიდან გაძევეს, ორი ათასი—ოსმალებს მიემხრო, 4 ათასი ტყვედ წაიყვანეს და 4 ათასი ბრძოლაში დაიღუპა. დანარჩენი მცხოვრებნი ერთ მუჭა მიწაზე მოგროვილან და დიდგულად გაიძახიან: „იტალიის ტრიპოლიო“. ყველამ იცის, რა ცუდი პირობები ჩნდება, როცა ბევრი ხალხი ვიწრო ადგილზე სცხოვრობს. რადგან ტრიპოლიში მუშაობა არა ყოფილა. უეჭველია, მომავალ წელს, მოუსავლობა იქნება.

„ნეიე-ფრეიე-პრესეში“ სპეციალისტის წერილია დაბეჭდილი. იგი ამტკიცებს, იტალიელების საქმე ძალიან ცუდად არისო. წვიმისა და ღამ-ღამობით სიცივის გამო ჯარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ნიაღვარმა გზა გააფუჭა და სურსათისა და სანოვაგის მიწოდებაც გაძნელდა. ამას ხოლერაც დაერთო. იტალიის ჯარს გული გაუტყდაო.

ავსტრიის პრესა.

„რუსკოე სლოვოს“ ვენელი კორესპონდენტი იუწყება: გავლენიან წრეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთისა და ინგლისის პრესის აზრმა, თითქოს ჰსურდეთ იტალიისა, ავსტრიისა და გერმანიის შორის უთანხმოება გამოიწვიონ.

მართლაც, ვენის პრესა სიხარულით ბეჭდავდა სტამბოლიდან მოსულ ცნობებს, რაიცა იტალიის საწინააღმდეგო იყო. პრესამ, რომელიც საზოგადოდ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელშია, ამ ხანად დამოუკიდებლობა გამოიჩინა. სამინისტრო გაზეთებს ურჩევს, რიგიანად მოექეცით, როგორც იტალიას, ისე ოსმალეთს და, თუ შეიძლება, რუსეთსაცაო.

## სპარსეთის არეულობა

დეპეშები.

9 ნოემბერი.

**ბაქო.** სპარსეთისაკენ გაემგზავრა კავკასიის საპიონერთა მესამე ბატალიონი. თან სამხედრო ხიდი და ტელეგრაფი წაიღო.

**რეშტი.** წუხელის რუსის რაზმის პირველი ეშელონი ენზელს მოვიდა. დღეს სალიანის პოლკის ორი ბატალიონს ელიან.

**ლონდონი.** „რეიტერი“ იუწყება, დიდი ბრიტანიის რჩევისამებრ, სპარსეთი რუსეთის ულტიმატუმს დააკმაყოფილებსო.

---

ხელახლად წარვუდგინე მზრუნველს მოსაწონებლად. ოფიციალურმა რეცენზენტმა ბ-ნმა კრუპენიკოვმა წმინდა ნინოს სასწავლებლის დირექტორმა, ქართული ენის კარგა მცოდნემ, ეს გამოცემა იცნო ღირსად რეკომენდაციისა. მაგრამ აქაც ხრიკს მიმართა იმავე გვამმა. ეს რეკომენდაცია მაუდის ქვეშ ამოსდო და სამზრუნველო რჩევას არ წარუდგინა. როცა ახალმა მოწონებამ ძლიერ დაიგვიანა, ბ-ნს კრუპენიკოვს შევეკითხე, და მან შემატყობინა: ჩემი მოხსენება თქვენის სახელმძღვანელოს შესახებ კარგა ხანია წარვუდგინე, რეკომენდაციის ღირსად ვცანიო. მაგრამ საბჭოს იგი აქამდინ არ მიუღია რაღაც მიზეზის გამო. როცა ხელახლად ვინახულე ბობოლა, მან მითხრა: რა ვქნათ, რეცენზენტს თავისი მოხსენება არ წარმოუდგენიაო. მე უკიდურესად განცვიფრებულმა ვუთხარი: თვითონ კრუპენიკოვმა პირადად მითხრა, დიდი ხანია, რაც ჩემი აზრი წარვუდგინეო. ნუ თუო? მაშ ჩემი კანცელარიის მოსამსახურეებს უთუოდ სადმე ქაღალდებში ჩარჩათო. გავიდა კიდევ რამდენიმე დრო. რადგან არაფერი ცნობა არ მომდიოდა, კიდევ შევაწუხე ბობოლა, რომელმაც მიპასუხა: მსჯელობა გვქონდა, და დავადგინეთ: გავგზავნოთ თქვენი სახელმძღვანელო სამინისტროში და იმან განიხილოსო, რადგანაც რუსულს სახელმძღვანელოებს იგი არჩევს და იწონებსო. წამოვედი, მეტი რა გამეწყობოდა. გავიდა რამდენიმე თვე. მივედი კიდევ, პასუხი ხომ არ მოსვლიათ სამინისტროსაგანაო, ვკითხე. ჯერაო, სამინისტრო ძალიან გვიან ირჯებაო. ეჭვი დამებადა და ვუთხარი: მეც მინდა გავგზავნო ჩემი სახელმძღვანელო სამინისტროში და საჭიროა ჩემთვის ვიცოდე, რა თვეში და რა რიცხვში გაგიგზავნიათ ქაღალდი მეთქი. ვუთხარი ესა, ავდექი, გამოვედი კანცელარიაში და სეკრეტარს ვკითხე: რადროს გაგზავნეთ ჩემი სახელმძღვანელო სამინისტროში მეთქი? იმან გაოცებულმა შემომხედა და მიპასუხა: „არც თქვენი სახელმძღვანელო და არც ქაღალდი არ გაგვიგზავნია სამინისტროში. დაუყონებლივ დავწერე არზა სამინისტროს სახელზე, ჩავდე შიგ სახელმძღვანელოც და გავგზავნე პეტერბურგში. ერთს თვეზე ადრე იქიდან მომივიდა პასუხი: თქვენს სახელმძღვანელოში რუსულის ტექსტის გარდა ქართული ტექსტიც არისო; ამისთანა სახელმძღვანელოს განხილვა და მოწონება კავკასიის მზრუნველის საბჭოს კომპეტენცია შეადგენსო. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და მზრუნველისაგან მივიღე ოფიციალური ცნობა: თქვენი სახელმძღვანელო მეშვიდე გამოცემა მოწონებული იქნაო. რეკომენდაცია რეცენზენტისა არ შეეწყნარებინათ.

„Долгъ платежемъ красенъ“, (ვალს გადახდა ამშვენებსო). ამბობს ერთი რუსული ანდაზა. მეც ზემოხსენებულ ბობოლას ვალი სავსებით გადაუხადე. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს რუსულს გაზეთს „Разсвѣтъ“-ში დავბეჭდე ვრცელი წერილი (ოთხს ნომერში) იმ საარაკო შევიწროვების თაობაზე, რომელსაც განიცდის ქართველობა განათლების სფეროში, და ამ წერილში დავასურათე ბობოლას მოქმედება ისეთი სიმართლის სიმწარით, რომ მას ივანე ევდოკიმეს ძის გამყრელიძესათვის ეთქვა: გოგებაშვილმა ისეთი რამები დასწერა ჩემზე, რომ მოსვენება კარგა ხანს დამიკარგაო; მაგრამ მე რა შუაში ვარ აქაო. მოსამსახურე პირი ვარ და რასაც ზევიდან მიბრძანებენ, მოვალე ვარ შევასრულოო. ეს სიტყვები ნახევრობით მაინც სიმართლეს ლაპარაკობდნენ: ზევიდგან თუ თხოულობდნენ ერთს ფუთს უკუღმართობას, ადგილობრივ ბობოლა ჩადიოდა ათს ფუთსა და მეტსაც.

იაკობ გოგებაშვილი.

(შემდეგი იქნება).

**თეირანი.** სამსამ-უს-სალტანემ მეჯლისს აცნობა: გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა ვუსუკ-უდ-დოულე, განათლებისა—მუშირ-უდ-დოულე, ფოსტა-ტელეგრაფისა—მოაზედ-უს სალტანე. უკანასკნელმა სხვა სამინისტროებიც უნდა განაგოს. პალატა მოხსენებას სიჩუმით შეხვდა. სერდარ-ასადმა მეჯლისს წერილი გამოუგზავნა, რითაც უარჰყოფს, ვითომც მას რეგენტობა ჰსურდეს.

**გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.**

„ტაიმს“-ს თეირანელი კორესპონდენტი სწერს: „ვგრძნობ, რომ რუსის მთავრობა და საზოგადოება შეცდომის მსხვერპლია. როდესაც შოა-უს-სალტანეს ქონებას ხაზინის ჟანდარმები იბარებდნენ იქ დავესწარ და პოლკის უფროს ამერიკელ აფიცრის ბრძანებანიც მესმოდა. წერილი დისციპლინის სასტიკად დაცვას თხოულობდა და ჟანდარმებსაც ბრძანებას აძლევდა, შოა-უს-სალტანეს ყურადღებითა და რიგიანად მოეპყრათ. მისტერ შუსტერმა თავისი ხელით წერილი მისწერა შოა-უს-სალტანეს ჰარამხანის უფროს საჭურისს და ეუბნებოდა, ჰარამხანაში მყოფთ არავითარი შიში არ ელისო. შუსტერმა შოა-უს-სალტანეს ერთ-ერთი ცოლის ძმა გაგზავნა ჰარამხანაში და დაავალა ეთქვა, შუსტერი ნებას არავის მისცემს ჰარამხანის ცხოვრებაში ჩაერიოსო. მიუხედავად ყველა ამისა, შოა-უს-სალტანეს დედამ პეტერბურგის უმაღლეს წრის ერთ-ერთ ქალს დეპეშა გაუგზავნა, ჰარამხანის ქალები შეურაცხჰყვესო. აი, სწორედ ამის შემდეგ შოა-უს-სალტანეს ამბავს პეტერბურგში დიდი მნიშვნელობა მიაწერეს“.

# მაროკოს საქმე

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

9 ნოემბერი.

**ბერლინი.** კიდერლენ-ვეხტერის დაბეჭდილი სიტყვა, რომელიც რეიხსტაგში წარმოსთქვა, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას ეხება: ინგლისს, თურმე, მოლაპარაკებაში ჩარევა სურდა, მაგრამ გერმანიამ ნება არ მისცა. სიტყვა ასე თავდება: გახსოვდეთ—საფრანგეთმა თავისი მიწა-წყალი დასთმო, გერმანიამ უარჰყო ის უფლებანი, რაც მას და სხვა სახელმწიფოთ ეკუთვნოდათ.

**პარიზი.** პალატის კომისიაში კაილომ განაცხადა, კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის თანხმობა მარტო მისთვის არის საჭირო, რაც კონგოს ეხებათ. ესპანიის თაობაზე კი სთქვა, თუ იგი პირობებს არ შეასრულებს, საფრანგეთი ჰააგის სასამართლოს მიჰმართავს და თავისას გაიტანსო. მინისტრ-პრეზიდენტმა კონგოს ხელშეკრულების სწრაფად განხილვა მოითხოვა. თუ კამათი გაგრძელდა, ნდობის საკითხს წარმოვაყენებო.

**პარიზი.** პალატის კომისიაში დე სელვმ და კაილომ განაცხადეს, ესპანიისა და საფრანგეთის მოლაპარაკების ამბავს მხოლოდ მაშინ გამოვაქვეყნებთ, თუ ესპანია დაგვეთანხმებაო.

# მწერლის ა. ი. კუპრინის საქციელი

გაზეთი „უტრო“ სწერს: ამ დღეებში, ალექსანდრეს თეატრის არტისტის ხოდოტოვის მიერ გამართულ საღამოზე სამწუხარო ინციდენტი მოხდა. ამ ამბავს გადმოგცემთ, როგორც იგი ბ-ნმა ხოდოტოვმა გვ-ამბო.

სამხრეთიდან მოსული მწერალი სკიტალეცი ხოდოტოვთან ახალ ნაწარმოებს კითხულობდა. ბევრი სტუმრები იყვნენ. ყველა ხალისით უგდებდა ყურს სკიტალეცსა. მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთის მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომც ყურადღების ცენტრი ანდრეევი ყოფილიყოს და ინციდენტის მიზეზიც ეს იყოს, ტყუილია.

ღამის სამ საათზე სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. დაარჩა: ანდრეევი, კუპრინი, სკიტალეცი, ა. კამენსკი, ბ. ლაზარევსკი, როსლავლევი, მანიჩი, აბრამოვიჩი. იყო აგრეთვე ანდრეევის მეუღლეც. ყველა მხიარულებდა, მღეროდა.

ანდრეევი პიანინოს უკრავდა. შემდეგ ადგა და სასადილო ოთახში შევიდა კუპრინის ღასაძახებლად, ჰსურდათ მას ემღერნა. კუპრინი ნასვამი იყო. ნაბახუსევი და ანდრეევს ხუმრობით სარმა გამოსდო. ანდრეევი წაქცევას რო აპირებდა, კუპრინს ყურეგბურად დაებლაუჭა. მან კი მოულოდნელად ანდრეევს „გაარტყა. დამსწრენი ჩაერივნენ, ანდრეევი დააშვიდეს და ცოტა ხნის შემდეგ იგი მეუღლითურთ სახლში წავიდა.

დანარჩენთა და კუპრინს ლაპარაკი მოუვიდათ. ზოგიერთი ძალიან სწუხდა და ღელავდა. კუპრინს უსაყვედურებდნენ, შენი საქციელი ყოველთვის უბრალოდ ჩაგივლის ხოლმეო.

ნაწყენმა კუპრინმა ახლა სკიტალეცს, მანიჩს, ლაზარევსკის და აბრამოვიჩს დაუწყო ცემა.

აღელვებულებმა ნაცემებმა იქვე დაიწყეს სარედაქციო წერილთა წერა, რაშიაც კუპრინის საქციელის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდნენ. მაგრამ ხოდოტოვმა დააშვიდა ინციდენტის მონაწილენი და წერილებიც დაახევინა. დამსწრეთ მხოლოდ დილის 7 საათზე მოახერხეს დაშლა.

ყველა იმას ამბობს, კუპრინმა ავადმყოფობის გამო ჩაიდინა ეს საქმეო.

ამ საქმის თაობაზე კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია თვით ანდრეევთან.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ამბავი გაზეთებში გამოცხადდა. მგონია, კუპრინის საქციელი ავადმყოფობით აიხსნება, გადაჭრით ვაცხადებ—გავრცელებული ხმა, ვითომც ამ ინციდენტს საამხანაგო სასამართლო გადასწყვეტს, ტყუილია. მე, მაგალითად, კუპრინს სამართალში არ გამოვიწვევ, რადგან, კიდევ გავიმეორებ—ავადმყოფთ არ ასამართლებენ.

# უცხოეთი

**ქარიშხალი ჩრდილოეთ ამერიკაში.**

ჩრდილო ამერიკის დასავლეთ ნაწილში 30 ოქტომბერს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ხალხი დიდად დაზარალდა. განსაკუთრებით ცუდი დღე დაადგა ვისკონსინის შტატს, აიოვას და ილინოისსა. ქარიშხალს მოჰყვა საშინელი სიცივე, კოკისპირული წვიმა, სეტყვა და თოვლი. ილინოისში ქარიშხალმა მთლად გაანადგურა პატარა ქალაქი ვარგინია, ვისკონსინში ბევრი სახლი დაანგრია.

ჩიკაგოდან ტბაზე მომხდარ უბედურებისა და გემთა შიმთსვლის ამბავს იტყობინებიან. გამოქვეყნებულ ცნობათა მიხედვით 20 კაცი დაღუპულა, 50 დაშავებულა. საერთოდ ზარალი კი ორ მილიონ მანეთამდეა. ჯერ უკლებლივ გამორკვეული არ არის და შეიძლება ბევრად მეტი იყოს ზარალი.

# ანგარიში

**საქართველოს ისტორიით და ეთნოგრაფიით საზოგადოების მოქმედებისა 1910 წელს.**

I. **საზოგადოების გამგეობა.** 1910 წელს საზოგადოების საქმეებს საბჭო განაგებდა, რომელსაც შეადგენდნენ: 1) თავმჯდომარე საბჭოსი და საზოგადოებისა ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, 2) თავმჯდომარის ამხანაგი დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი, 3) ხაზინადარი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, 4) მდივანი ს. რ. გორგაძე 21 ნოემბრამდე, შემდეგ სერგეი ნესტორის ძე კაკაბაძე, 5) ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, 6) მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, 7) იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, 8) მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი და 9) დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც 21 ნოემბრიდან თავი დაანება საბჭოს წევრობას, ხოლო მის ნაცვლად საბჭო იწვევდა ხოლმე ერთს სამ კანდიდატთაგანს—გერასიმე სოფრომის ძეს იმნაიშვილს. საანგარიშო წელს საბჭოს ჰქონდა 13 სხდომა.

II. **საზოგადოების წევრები.** 1910 წლის დამდეგს საზოგადოებას ჰყავდა 2 საპატიო, 507 ნამდვილი და 21 დამხმარე, სულ 530 წევრი; საანგარიშო წელს შეიძინა 138 ახალი ნამდვილი წევრი, ხოლო გამოირიცხა (სიკვდილის გამო და წესდების § 18-ს ძალით)—392 წევრი; 1911 წლის 1-ელ იანვარს საზოგადოებას ჰყავდა: 2 საპატიო და 274 ნამდვილი, სულ 276 წევრი.

III **საზოგადოების აგენტები.** საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყავდა აგენტები: 1) მოსკოვში—ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი, 2) კავკავში—თ. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, 3) ბაქოში—ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი: 4) ბათომში—ტროფიმე გიორგის ძე ინასარიძე და 5) ქუთაისში—იოსებ იოსების ძე ოცხელი და რაჟდენ დათეშიძე.

IV. **საზოგადოების კრებანი.** 1910 წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 13 საზოგადო კრება (ერთი წლიური, ექვსი ჩვეულებრივი და ექვსი არაჩვეულებრივი), რომელზედაც რეფერატები წაიკითხეს შემდეგმა პირებმა:

1. ს. რ. გორგაძემ: „ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დროს“.

2. მანვე: „ნიკოლოზ მარრი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა“.

3. ივანე ალექსანდრეს ძემ ჯავახიშვილმა: „საქართველოს ეკონომიური ვითარების მონგოლების დრო“.

4. ალექსანდრე ივანეს ძემ სარაჯიშვილმა: „ბრძოლა რაჩპადინ-გმირისა ერეკლე მეფესთან, ავარული სიმღერა“.

5. სერგეი ნესტორის ძემ კაკაბაძემ: „როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“

6. მანვე: „თამარ მეფის შინაური პოლიტიკა“.

7. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმ: „სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში“.

8. იუსტ. ირ. აბულაძემ: „ბარამ-გულიჯანიანი და რუსთველის პოეტური შემოქმედება“.

V. **საზოგადოების წიგნთსაცავი და მუზეუმი.** საანგარიშო წლის დამდეგს მუზეუმში იყო 79 საარქეოლოგიო ნივთი, წლის განმავლობაში შემოვიდა (ნაყიდი და შემოწირული) 86 ნივთი, გახდა 165 ნივთი. წიგნთსაცავში წლის დამდეგს იყო 151 ხელნაწერი წიგნი, შემოვიდა 41, გახდა 192 ხელნაწერი; წინა წლის დამლევს იყო 245 სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი (378 ცალი), 1910 წელს შემოვიდა 264 სხვა და სხვა სახელწოდებისა (264 ცალი), გახდა სულ 509 სახელწოდება (642 ცალი). ამავე წელს საზოგადოებამ შეიძინა მრავალი ძველი ფული და სიგელ-გუჯარი.

VI. **საზოგადოების გამოცემანი.** 1910 წელს საზოგადოებამ გამოსცა „საქართველოს სიძველენი“ ტომი III და შეუდგა „ძველი საქართველოს“ მე-II ტომის გამოცემას. ეს გამოცემა უსასყიდლოთ დაურიგდა ყველა ნამდვილ წევრს, ვისაც 1910 წლის საწევრო ფული ჰქონდა გადახდილი.

VII. **საარქეოლოგიო მოგზაურობანი.** საანგარიშო წელს საბჭოს თავმჯდომარემ ექვთ. სვ. თაყაიშვილმა იმოგზაურა სვანეთში და ყვირილის ხეობაში, საიდანაც საზოგადოების მუზეუმ-წიგნთსაცავში ჩამოიტანა მრავალი საარქეოლოგიო ნივთი და ხელნაწერ-ნაბეჭდი წიგნები.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი**.- კონსტანტინოპოლში სუფრაჟისტკებმა დემონსტრაცია გამართეს, რადგან ახალი საარჩევნო კანონპროექტი ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ ანიჭებს. დემონსტრანტებს პარლამენტში შეჭრა სწადდათ, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. სუფრაჟისტკებმა მაღაზიებისა, ბანკებისა და სახაზინო დაწესებულებათა ფანჯრები ჩამსხვრიეს. დაატუსაღეს 220.

**პორტ-საიდი.** ინგლისის მეფე და მისი მეუღლე ინდოეთს გაემგზავრნენ.

**ვენა.** სამინისტრაციო სასამართლომ უკანონოდ დასცნო კლერიკალთა სანიშარი დუბლიანის არჩევნების გამო. ამნაირად, დიბერალ სლოვენთა სატახტო ქალაქში ბატონობას სლოვენებს დარჩათ.

**ბრიუსელი.** სოციალისტებმა სახელმწიფოს დაცვის თაობაზე შეკითხვა შეიტანეს. სამხედრო მინისტრმა უპასუხა, თუ საფრთხე რამე გამოჩნდა, ჯარის თავმოყრას 5—6 დღეში შევძლებთო.

**რ უ ს ე თ ი.**

**ლოძი.** შეფლერის სართვენი ქარხანა დაიწვა. ზარალი 100 ათასს მანეთს უდრის.

**ალექსანდროვსკი** (ეკატერინოსლ. გუბ.) კირილოვკა-შოლოგის ახლო ბატომარნი დარაჯებს დაერივნენ, მატარებელი შეაჩერეს, იარაღი გაიტაცეს და გაიქცნენ.

**ნოვოჩერკასკი..** მანკოვ-ბერეზოვის ბაზრობაზე პოგრომის მოწყობისათვის, სამხედრო სასამართლომ ექვსს ცხრა წლის კატორღა გადაუწყვიტა, ერთს—ათ წლისა.

# მოწოდება

ქ. თელავში ამ წლის სექტემბრიდან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა გაიხსნა. საჭიროა სკოლასთან ერთად არსებობდეს საბავშვო ბიბლიოთეკაც. ვთხოვ იმ პირთ, ვისაც ჩემთან უსწავლია, ჩემს წინანდელ მოწაფეებს, ჩემს ნაცნობთ და საზოგადოდ ყველა მათ, ვინც თანაუგრძნობს ხალხის განათლებას, შემოგვწირონ ქართული საბავშვო წიგნები, შემდეგი მისამართით: ქ. თელავი. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა.

მასწავლებელი **ნინო გოგნიაშვილისა.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნოემბრის 2-ს ტფილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეებმა გადასწყვიტეს გვირგვინით შეემკოთ დაუღალავ მოღვაწისა და წარჩინებულ მასწავლებლის **ნ. ზ. ცხვედაძის** კუბო, რისთვისაც შეაგროვეს სულ—32 მან. და 9 კაპ.; ამ ფულიდან 16 მან. და 65 კაპ. დაიხარჯა გვირგვინში, დანარჩენი 15 მ. 44 კაპ. კი გადავეცი, ამხანაგების მინდობილებით ალ. ნიკოლოზის ძე მიქაბერიძეს, რომელსაც დაევალა გადასცეს სკოლის ადმინისტრაციას საჭირო სახელმძღვანელოების შესაძენად, რითაც დახმარება უნდა გაეწიოს სკოლის ღარიბ მოწაფეებს.

მოწაფეთა მინდობილობით: **შ. ბერიძე.**

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, ნება მომცეთ „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადო კნეინა თამარა ალექსანდრეს ასულს აბაშიძისას, რომელმაც, ღარიბ მოწაფეთა დასარიგებლად, შემოსწირა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თელავის სკოლის ჩვიდმეტი რვეული ქართული ენისა, ხუთი ფანქარი და ხუთიც კალმის ტარი კალმებით.

მასწავლებელი **ნ. გ—შვილისა.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) **სახალხო** მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) **საფოსტო** მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარამი საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) **სახალხო** მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარამი დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) **საფოსტო** მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარამი ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) **შერეული** მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარამი დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) **სახალხო** მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

**სახალხო** მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ.

2) **სახალხო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** სახალხო N 6, I—III კლას. ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5, ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საღ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ვინ როდის იღებს მთხოვნელებს**

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდეში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩ. N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანანიევის ქუჩაზე).

**ნ ი ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

| | |
|---|---|
| 1. ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. ქალაქიდან განაპირაუბნე ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. | — |
| 5. ვაგზ.-დან ნაძალად და დიდუბეში | 40 „ |
| 6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. ქალაქიდან ქალაქის საავადმყოფომდე აგლაბარში | 50 „ |
| 9. ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. იქიდან უკან დაბრუნება | 40 |

# განცხადებანი


ი. ფრემოს (J. Fremaux), Billy-Montignu-ში (საფრანგეთში), ჰსურს გამართოს ფრანგული მიწერ-მოწერა ყოველ ქვეყნის სხვა და სხვა პირებთან.
Метцль. 287036. (1.1585.1)

**ა გ ე ნ ტ ი**

**მ. ა. გაჩეჩილაძე**

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების მიმღები აგენტებია ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და საქციონერო საზოგ. „ანონსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

**დოქტ. ნავასარდიანცისა.**

ყოველ დღე, ავადმყოფებს იღებს. დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**შ. ა. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ე. ტ. მელიქია:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. მუცნიკი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**ბ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—179)

**სამშობიარო თავშესაფარი**

**მ. ი. კრემერ**

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დილით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და ბავშვთა საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება მიმდინარე და მოახლოებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავმჯდომარე ექიმი დოქტორი-მედიცინისა.

(25—913—7) ი. გ. უპლემბერგი.

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სტეხნიკო, სამეურნეო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბეჭდი ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან სასწავლებლისთვის **ხარჯზე. ყველა კლასის ჩინებულად.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ავჭალაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებულ აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.18)

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“. | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა“. | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. | ფ. 85 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

# მზარეულობის საპრაქტიკო სკოლა

**ე. ნ. მისტროვისა,**

(გრიბოედოვის ქუჩა N 9, სამუსიკო სასწავლებლის პირდაპირ).

**სადილი 30 კ.—60 კ.-მდე** საუზმე, პირაშკა და სხვა და სხვა საჭმელები მზადდება აგრეთვე შეკვეთით.

**სასწავლებელში** მიიღება მოწაფეები ყოველ დღე. (თ.—868.15)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ყვავილის ო-დე-კოლონი,**

„საუცხოვო აკაცია“,




„ნუ დამივიწყებ“,

„მხიბლავი სუმბული“.

თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.

✦ **უმაღლესი ღირსებისა.** ✦

მთავარი საწყობი: ტფილისი, საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23—1292—12)